№11/5
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
შემოსული ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში ... აქვს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
"20" ... 2009 წ.
№ 200.230.000.35.149.002.962

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №14

ქ.კასპი, სტალინის ქ №68, ☎:. 8 (271) 2-20-30, 2-20-31, s/n 231555302

ქ. კასპი 11 ... 2009 წ.

"კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტოპრიაზეადგილობრივი გადასახადების შემოღებისა და საგადასახადო განაკვეთის განსაზღვრის შესახებ"

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" და საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებული იქნეს:

1.ქონების გადასახადი გარდა მიწისა:

ა)საწარმოებისათვის წლიური განაკვეთი განისაზღვროს ქონების საშუალო ღირებულების 1 %.

ბ)ფიზიკური პირებისათვის -მეწარმეებისათვის გამოყენებული ქონების წლიური საშუალო ღირებულების 1%.

გ)ფიზიკური პირებისათვის გარდა სამეწარმეო საქმიანობაში გამოყენებული ქონების - უძრავი ქონების გადასახადი.

-კალენდარული წლის განმავლობაში:

60 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახისათვის უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების 0,1 %,

60 000 ლარი-დან 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის 0.3%,

100 000 და მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის 0, 6%.

2. მსუბუქი ავტომანქანებისათვის გადასახადი საგადასახადო კოდექსის 273 მუხლის მე-4 პუნქტის "გ˜"ქვეპუნქტით - საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებული მსუბუქი ავტომობილების ძრავის სახეების, მოცულობის და ავტომანქანის ხნოვანების გათვალისწინებით.

მსუბუქი ავტომობილის ძრავის სახეები მოცულობის მიხედვით	მსუბუქი ავტომობილის ხნოვანება	გადასახადის ოდენობა ლარებში (არაუმეტეს)
	1წლამდე (ჩათვლით)	50
ა) 2 000 სმ3-მდე (ჩათვლით მოცულობის ძრავის მქონე მსუბუქი ავტომობილი)	1 დან - 4 წლამდე (ჩათვლით)	40
	3 დან _ 4 წლამდე (ჩათვლით)	30
	4 დან _ 5 წლამდე (ჩათვლით)	20
	5 დან _ 6 წლამდე (ჩათვლით)	10
	6 წელზე მეტის	5

	1 წლამდე (ჩათვლით)	150
ბ) 2 001 სმ3-დან 3000სმ3-მდე (ჩათვლით) მოცულობის ძრავის მქონე მსუბუქი ავტომობილი)	1 დან - 3 წლამდე (ჩათვლით)	130
	3 დან _ 4 წლამდე (ჩათვლით)	110
	4 დან _ 5 წლამდე (ჩათვლით)	80
	5 დან _ 6 წლამდე (ჩათვლით)	25
	6 წელზე მეტის	5
	1 წლამდე (ჩათვლით)	300
გ)3 000 სმ3ზე მეტი მოცულობის ძრავის მქონე მსუბუქი ავტომობილი)	1 დან - 3 წლამდე (ჩათვლით)	250
	3 დან _ 4 წლამდე (ჩათვლით)	200
	4 დან _ 5 წლამდე (ჩათვლით) 100	
	5 დან _ 6 წლამდე (ჩათვლით)	50
	6 წელზე მეტის	5

3. მიწაზე ქონების გადასახადი:

ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი, მრავალწლიანი ნარგავები) მიქაზე წლიური განაკვეთი კარგი მიწებისათვის 36 ლარი, მწირი მიწებისათვის 18 ლარი.

ბ) ბუნებრივი სათიბებისათვის 1 ჰექტარზე 4 ლარი, საძოვრებისათვის 2 ლარი:

გ)გაკულტურებული სათიბებისათვის 7 ლარი;

დ)გაკულტურებული საძოვრებისათვის 3 ლარი,

4. დამტკიცდეს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე წლიური გადასახადი 1მ2 ზე

ა) ცენტარლური ზონა - 0,19 თეთრი

ბ) შუალედური ზონა - 0,16 თეთრი

გ) პერიფერიული ზონა - 0,13 თეთრი

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს კასპის მუნიციპალიტეტის სკარებულოს 2007 წლის №8 დადგენილება.

6. გადაწყვეტილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ადგილობრივ პრესაში

კასპის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: /ვ.ხუციშვილი/